საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №296

2013 წლის 29 ნოემბერი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის ჩატარების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულების შესაბამისად:

1. 2013 წლის 5 დეკემბრამდე გამოცხადდეს საჯარო კონკურსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - 1 ვაკანსია;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - 1 ვაკანსია;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის სამდივნოს მთავარი სპეციალისტი - 1 ვაკანსია;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საინვესტიციო პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - 1 ვაკანსია;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პროტოკოლის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - 2 ვაკანსია;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - 1 ვაკანსია;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განყოფილების მთავარი სპეციალისტი - 1 ვაკანსია;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განყოფილების წამყვანი სპეციალისტი - 1 ვაკანსია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს საჯარო კონკურსის ჩატარება 2013 წლის 27 დეკემბრამდე.

3. საჯარო კონკურსის ჩატარების პროცესში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის ხელშეწყობა დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საჯარო სამსახურის ბიუროსა (რ. შარაშიძე) და საქმისწარმოების დეპარტამენტს (მ. სარჯველაძე).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე **არჩილ ხაბაძე**